დანართი №1

სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები **(ტექსტში შემდგომ – „წესი“)** შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე.
2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **(ტექსტში შემდგომ – „კონსერვატორია“)** სამეცნიერო პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების, კონსერვატორიის აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მსურველისა და კონსერვატორიის ინტერესების გათვალისწინებით, სამსახურში მიღების პროცედურის საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.
3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს კონსერვატორიის მოთხოვნებისა და კონკურსში მონაწილეთა მონაცემების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, კონსერვატორიის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში **(შემდგომში – „ერთეული“)** მეცნიერის თანამდებობაზე, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება კონსერვატორიის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 6 წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უვადოდ შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და აქვს სხვა მიღწევები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 5 წლის ვადით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

შენიშვნა: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის **საკონკურსო თანამდებობებისათვის დამატებით კრიტერიუმებად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა.**

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების მიზნით ცხადდება კონკურსი. კონკურსს აცხადებს კონსერვატორიის რექტორი, ბრძანებით.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა და პირობები განისაზღვრება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - „საკონკურსო კომისია“, ან „კომისია“), რომლის შემადგენლობა მტკიცდება შესაბამისი ერთეულის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.
2. საკონკურსო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს დოქტორის (ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული) შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე, ასევე შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის ქართული ენის მცოდნე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე) პირები.
3. კომისიის წევრის/წევრების აცილების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
4. კომისიის მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია მოწვეული იქნას შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტები.
5. კომისიის შემადგენლობაში კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი.
6. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

7. გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
8. საკონკურსო კომისიის მიერ კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კომისიის იმ წევრს, რომელიც სრულად არის გაცნობილი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ მასალებსა და ინფორმაციას.
9. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.
10. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის, კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას კომისიის მუშაობის ადგილზე).
11. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში.
12. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.
13. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე.
14. დაუშვებელია საკონკურსო კომისიასა ან მის რომელიმე წევრზე (წევრებზე) კონკურსანტის მიერ ან/და მათი სახელით, რაიმე სახის ან ფორმის ზეწოლა საკონკურსო კომისიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს შესაბამის საკონკურსო კომისიას.
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, საკონკურსო კომისიას წარუდგინოს განცხადება (დადგენილების დანართი №2) კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო თანამდებობაზე).
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, წარდგენილ განცხადებას დაურთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი)ასლი;
დ) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);
ე) კონკურსის გამოცხადების ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.
4. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

5. საკონკურსო კომისია ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობის მსურველს ხარვეზის გამოსწორების ვადა, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების /დოკუმენტაციის/ მიღების ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღისა.
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

1. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე კომისიის მიერ, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა.
2. საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე.
3. გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ დროს და ადგილზე. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს მისი პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, უცხო ენის ცოდნის დონე (მოთხოვნის შემთხვევაში) და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მისი შემდგომი საქმიანობის სფეროსთან.
4. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ სავარაუდო დროს. დადგენილ დროზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიას გააჩნია უფლებამოსილება, კონკურსანტის გასაუბრება ჩაატაროს მხოლოდ იმავე დღეს.
5. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (მაგ.: სამსახურებრივი მივლინება, ავადმყოფობა, როდესაც გასაუბრების დადგენილ ვადებში კონკურსანტის ფიზიკური გამოცხადება შეუძლებელია) გასაუბრება შესაძლოა ჩატარდეს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით - დისტანციურად.
6. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.
7. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.
8. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
9. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებასა და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში.
10. კონკურსანტების შეფასებების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და კონკრეტულ სამეცნიერო საკონკურსო თანამდებობაზე არჩეულად ითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობისა.

11. ერთ სამეცნიერო თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კანდიდატი.
12. საკონკურსო თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულის/გამარჯვებულების (ორი ან მეტი ერთნაირი საკონკურსო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში) გამოვლენის მიზნით საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი საკონკურსო პოზიციაც არის შესაბამის მიმდინარე კონკურსში.
13. საკონკურსო კომისიის კენჭისყრის საფუძველზე მიღებული შედეგები აისახება კომისიის შემაჯამებელ ოქმში. შემაჯამებელ ოქმში აუცილებლად აისახება მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, შეფასებების) საფუძვლიანობა, კონკურსანტთა გამარჯვებულად გამოცხადების ან გამოცხადებაზე უარის თქმის შინაარსობრივი საფუძვლები და დასაბუთება.
14. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს (შემაჯამებელი ოქმი) საკანცელარიო წესით წარუდგენს კონსერვატორიის რექტორს დასამტკიცებლად.
15. კონკურსის შედეგებს ამტკიცებს კონსერვატორიის რექტორი და ცხადდება საჯაროდ.
16. კონკურსი დასრულებულად ითვლება კონსერვატორიის რექტორის მიერ საკონკურსო შედეგების დამტკიცებისთანავე.
17. იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო კომისია განზრახ თავს არიდებს კონკურსის პროცედურის განხორციელებას და დადგენილ ვადებში ვერ დაასრულებს შესაბამის სავალდებულო პროცედურებს, რექტორი უფლებამოსილია ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით განსაზღვროს ახალი საკონკურსო კომისია.
18. რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკონკურსო შედეგების დამტკიცების თაობაზე გადაეცემა კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.
19. კონსერვატორიის რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

1. რექტორის მიერ საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმით განსაზღვრული შედეგების დამტკიცების და მათ ძალაში შესვლამდე ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის პერსონალი ინარჩუნებს შესაბამის შრომითსამართლებრივ ურთიერთობას იმ კონკრეტულ პოზიციაზე, რომელიც ეკავა კონკურსის გამოცხადებისა და მიმდინარეობისას.
2. კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის პერსონალის შრომითსამართლებრივი ურთიერთობები იცვლება ან წყდება წინამდებარე წესით გათვალისწინებული კონკურსის შედეგების შესაბამისად.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა შესაბამის ერთეულს. კონკურსანტს, მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე, სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) ერთეულში.